შოთა მესხიას
ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები
2025 წლის გაზაფხულის მიღება

სარჩევი

ისტორია | მისია ---------- 2

ღირებულებები ---------- 3

ბუღალტრული აღრიცხვა ---------- 4

საფინანსო სერვისები ---------- 5

დეკორატიული მებაღეობა ---------- 6

შედუღება ---------- 7

ელექტროობა ---------- 8

მეფუტკრეობა ---------- 9

მებოსტნეობა ---------- 10

ბიბლიოთეკარი ---------- 11

კომპიუტერული ქსელის
ადმინისტრირება ---------- 12

ისტორია

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაარსდა 2007 წლის 13 ივლისს სამი სრულიად განსხვავებული მისიის მქონე სასწავლებლის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალის, სსიპ ზუგდიდის პროფესიული ლიცეუმისა და სსიპ სენაკის აგრარულ–ეკონომიკური კოლეჯის - ბაზაზე.
ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი რეგიონში ერთადერთი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც ახორციელებს როგორც უმაღლესს, ასევე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს და წარმოადგენს რეგიონის ძლიერ საგანმანათლებლო ცენტრს.
უნივერსიტეტი განთავსებულია ორ იურიდიულ მისამართზე: ზუგდიდი - ჯანაშიას 14 და სენაკი - მშვიდობის 192.

მისია

შექმნას ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით სტუდენტის, პერსონალის, სხვა დაინტერესებული პირის კმაყოფილებაზე დაფუძნებული ახალი ცოდნა და დასაქმების გარემო. სწავლისა და კვლევის ინტეგრირებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამებით, კვლევის შედეგების გამოყენებისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშემწყობი პროექტებით, ინოვაციების გაზიარებით წვლილი შეიტანოს რეგიონის თანმიმდევრულ, წარმატებულ და სტაბილურ განვითარებაში, დადებითი ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოების, ბიზნესის, სახელმწიფოს კეთილდღეობაზე.
უწყვეტი სწავლის პრინციპით მოამზადოს/გადაამზადოს/ მოიზიდოს დემოკრატიულ და ტოლერანტულ მიდგომებზე, პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი და პროფესიული განათლების მქონე, კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური კადრი, საზოგადოების აქტიური წევრი, რომელიც პოზიტიურად გაუმკლავდება სამომავლო გამოწვევებს.
როგორც განათლების სფეროში რეგიონულმა ცენტრმა, ინსპირირება გაუკეთოს ოპტიმიზმისა და მომავლის რწმენის ჩამოყალიბებას, მუდმივად უზრუნველყოს ხარისხი, ჩართულობა და განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა სამიზნე ჯგუფისთვის მდგრადი, გონიერი და ინკლუზიური განვითარებისთვის.

ღირებულებები

- **აზროვნებისა და გამოხატვის თავისუფლება** - აკადემიური და პიროვნული თავისუფლების ფუნდამენტური პრინციპების განხორციელებისათვის საჭირო გარემოსა და პირობების შექმნა;
- **ხარისხზე ორიენტირება** - საქმიანობის განხორციელებისა და საუნივერსიტეტო სერვისების მიწოდებისას მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა;
- **თანამშრომლობა** - კეთილგანწყობაზე დაფუძნებული თანამშრომლობით საუნივერსიტეტო საზოგადოებასა და პარტნიორებთან წარმატების მიღწევა;
- **გამჭვირვალობა** - ღია და საჯარო მიდგომებით საანდოობის უზრუნველყოფა;
- **ზრუნვა** - საუნივერსიტეტო საზოგადოებასა და უნივერსიტეტის განვითარებაზე ზრუნვა ინდივიდუალური ინტერესებისა და სპეციალური საჭიროებების გათვალისწინება;
- **კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა** - სოციალურ პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული უნივერსალური ქცევის კოდექსების გამოყენებით მაღალი რეპუტაციის მიღწევა;
- **ინოვაცია** - ახალი იდეებით, ახალი შესაძლებლობებით დაინტერესებულ პირთა კმაყოფილების ზრდა;
- **კრეატიულობა** - ხარისხის და ორიგინალურობის წახალისებით, ახალი იდეების გენერირების ხელშეწყობით, შემოქმედებითი შესაძლებლობების განვითარება;
- **მეწარმეობა** - რისკებისა და შესაძლებლობების გაანალიზებით ახალი პროდუქტის/ მომსახურების შექმნა.

ბუღალტრული აღრიცხვა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ ენაზე:
უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში

დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება

ხანგრძლივობა:
- ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის- 17 სასწავლო თვე;
- არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის- 22 სასწავლო თვე.

მიზანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს და შრომის ბაზარს შესთავაზოს კვალიფიციური ბუღალტერი, რომელიც შეძლებს მონაწილეობა მიიღოს სამეწარმეო, არასამეწარმეო, სახელმწიფო ორგანიზაციის/დაწესებულების ან პირის სააღრიცხვო პოლიტიკის დაგეგმვაში, ორგანიზებასა და წარმართვაში; ფინანსური, ბუღალტრული ანგარიშებისა და ჩანაწერების შემოწმებასა და ანალიზში, რათა უზრუნველყოს მათი შესაბამისობა დადგენილ კანონმდებლობასა და სტანდარტებთან; იგი განახორციელებს ბუღალტრულ გატარებებს, შეადგენს და დადგენილი წესით წარადგენს საგადასახადო დეკლარაციებს, უზრუნველყოფს საგადასახადო ვალდებულებების გადარიცხვას სახელმწიფო ბიუჯეტში; ასევე შეძლებს ფინანსური ანგარიშგების, პირველადი სააღრიცხვო და სხვადასხვა სახის ფინანსური დოკუმენტაციის შედგენას გარე და შიდა მომხმარებლებისათვის.

შედეგი

- შეიმუშაოს სააღრიცხვო პოლიტიკა;
- შეავსოს და არგუმენტირება გაუკეთოს სამუშაო ფორმებს (სააღრიცხვო დოკუმენტები);
- აწარმოოს ბუღალტრული ოპერაციები;
- შეავსოს და გააგზავნოს დეკლარაციები;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება;
- აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვა ეკონომიკური საქმიანობის ზოგიერთი სახეობის მიხედვით;
- აწარმოოს კონტროლი სამეურნეო სუბიექტის საბუღალტრო აღრიცხვაზე;
- აწარმოოს მმართველობითი აღრიცხვა;
- შეასრულოს ეკონომიკური ანალიზი.

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

ბუღალტრულ აღრიცხვაში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს კერძო და საჯარო უწყებებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში საბუღალტრო და საფინანსო სამსახურებში, აუდიტორულ და საკონსულტაციო კომპანიებში მთავარ ბუღალტრად, ბუღალტრის თანაშემწედ/ასისტენტად, ბუღალტერ-მოანგარიშედ. შესაძლებელია თვითდასაქმებაც, კერძო პროფესიული პრაქტიკის განხორციელების გზით.

განხორციელების ადგილი:
პროფესიული განათლების ზუგდიდის ცენტრი
პროფესიული განათლების სენაკის ცენტრი

საფინანსო სერვისები

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ ენაზე:
საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში

დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება; არანაკლებ 17 წელი.

ხანგრძლივობა:
- ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 10 თვე
- არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 13 თვე

მიზანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს ისეთი პროფესიული პროგრამის დანერგვა, რომელიც მოამზადებს კვალიფიციური საფინანსო სერვისების პერსონალს, რომელიც შეძლებს სხვადასხვა ტიპის საფინანსო მომსახურების გაწევასა და მომხმარებლის საფინანსო სერვისებთან დაკავშირებულ ინფორმირებას. ასევე, საფინანსო სერვისების პროგრამის დანერგვა-განხორციელების ხელშეწყობა.

შედეგი

- აწარმოოს ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორება სავაჭრო ობიექტებში;
- აწარმოოს ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორება საბანკო დაწესებულებებში;
- განახორციელოს სალარო და საბანკო ოპერაციები;
- შესთავაზოს კლიენტებს საბანკო პროდუქტები;
- ეფექტურად მოემსახუროს კლიენტებს.

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

საფინანსო სერვისებში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს სხვადასხვა სავაჭრო ობიექტების მოლარედ, მათ შორის - ბილეთების გაყიდვების სალაროებში; ბანკებსა და არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო დაწესებილებებში მოლრისა და ოპერატორის პოზიციაზე, ასევე ნივთების დაგირავებითა და ფულადი თანხების გაცემით დაკავებული აგენტებისა და ბუკმეკერების პოზიციებზე.

განხორციელების ადგილი:
პროფესიული განათლების ზუგდიდის ცენტრი
პროფესიული განათლების სენაკის ცენტრი

დეკორატიული მებაღეობა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ ენაზე:
საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მებაღეობაში

დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება; საბაზო ზოგადი განათლება.

ხანგრძლივობა:
- სრული ზოგადი განათლება - 16,5 თვე;
- საბაზო განათლების საფუძველზე - არანაკლებ 3 წელი.

მიზანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, მებაღეობის სფეროსთვის მოამზადოს კონკურენტუნარიანი კადრები.

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროებია - ბოტანიკური ბაღი, ქალაქის გამწვანებისა და კეთილმოწყობის სამსახური, პარკები, სკვერები, დეკორატიული მცენარეების სანერგე მეურნეობები, დახურული გრუნტისა და სასათბურე მეურნეობა, სამშენებლო კომპანია, დიზაინერული პროფილის ოფისები.
დასაქმების პოზიციები: მებაღე; ლანდშაფტის მებაღე; ბაღის მომვლელი; გაზონის მთიბავი; სანერგეს მეურნეობის დამხმარე; ბაღის მოწყობის სპეციალისტი.

შედეგი

- დაამუშაოს ნიადაგი;
- დარგოს და მოუაროს მცენარეებს ღია და დახურულ გრუნტში;
- უზრუნველყოს დეკორატიული მცენარეების გენერაციული, ვეგეტატიური და ქსენოვეგეტატიური გზით გამრავლება;
- უზრუნველყოს დეკორატიული ხეების, ხეხილის, დეკორატიული ბუჩქების, კენკროვანი ბუჩქების, ხვიარა მცენარეების, ვარდებისსხვლა-ფორმირება;
- მოაწყოს გაზონი, სარწყავი სისტემა, წყლის სარკეები, ბილიკი, კიბე, მოედანი;
- დაგეგმოს და განახორციელოს ბაღის სხვადასხვა მხატვრული ელემენტებით(ყვავილნარი, ალპინარიუმი, როკარიუმი) მოწყობა.

განხორციელების ადგილი:
პროფესიული განათლების ზუგდიდის ცენტრი

შედუღება

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ ენაზე:
საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში

დაშვების წინაპირობა - საბაზო ზოგადი განათლება; „სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV -100/ა“, ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა.

ხანგრძლივობა:
- ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 7,5 თვე
- არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 10,5 თვე

მიზანი

პროფესიული პროგრამის მიზანია შემუშავდეს და დაინერგოს ისეთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კარდის მომზადებას.

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

შედუღების საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ისეთ პროფესიებზე როგორიცაა - შემდუღებლები და აირმჭრელები, რომლებიც ადუღებენ და ჭრიან ლითონის ნაწილებს აირის სანთურის, ელექტრორკალური ან სხვა გამაცხელებელი საშუალებების გამოყენებით, შესაბამისად დასაქმების შესაძლებლობებია შესაბამის ორგანიზაციებსა და სფეროში.

შედეგი

- შეადუღოს ლითონის ნაწილები აირის სანთურით, ელექტრორკალით, თერმული ნაერთებით ანსხვა მეთოდებით;
- გამოიყენოს სარჩილავი ტყვიის შემცველი ნაკეთობების (მილების, ზედაპირების და სხვა) შესაკეთებლად;
- შეაერთოს ლითონის ნაწილები მყარი კომპონენტით;
- დაჭრას ლითონი აირის სანთურის ან ელექტრორკალის გამოყენებით;
- შეაერთოს ლითონის ნაწილები ხელის სარჩილავით, რბილი კომპონენტით;
- შეარჩიოს თერმული მომზადების, მორგების, შედუღების პროცესის რეჟიმი მასალის არასასურველი დეფორმაციის, გადახურების, გადაგრეხვის, შეკუმშვის, გაფართოების აცილების მიზნით;
- დაადგინოს დეფექტები და წუნები;
- შეამოწმოს შესრულებული სამუშაოების სიზუსტე სპეციფიკაციით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობაზე.

განხორციელების ადგილი:
პროფესიული განათლების ზუგდიდის ცენტრი

ელექტროობა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ ენაზე:
საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში

დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება

ხანგრძლივობა:
- ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 9,5 თვე
- არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 12,5 თვე

მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას დაბალი ძაბვის ელექტროობაში.

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

ელექტროობის საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ ორგანიზაციაში ელექტრულ დანადგარებისა და სხვა ელექტრულ აპარატურის მომსახურე პირად: ელექტრიკოსად; ასევე: ელექტროტექნიკური სისტემების მემონტაჟედ; შენობის ელექტრიკოსად; მომმარაგებელ-ელექტრიკოსად; ელექტრო-მექანიკოსად; ელექტროგაყვანილობის და ფიტინგების მემონტაჟედ; განათების სისტემების მემონტაჟედ; ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის მემონტაჟედ; დამცავი სიგნალიზაციის მემონტაჟედ; ქუჩების განათების და ელექტრული სასიგნალო მოწყობილობების მემონტაჟედ; ასაფრენ-დასაფრენი ბილიკების განათების მემონტაჟედ; მზის ენერგიის ელექტრული კოლექტორების მემონტაჟედ

შედეგი

- გაუწიოს დაზარალებულს პირველადი სამედიცინო დახმარება;
- გამოიყენოს ელექტრული ტექნოლოგიები, ელექტროობის წარმოების, გადაცემისა და განაწილების საშუალებები;
- დაამონტაჟოს და შეამოწმოს განათება და ელექტრული წრედები საშინაო და მცირე საწარმოო გარემოში;
- მოიპოვოს და გამოიყენოს საინჟინრო ინფორმაცია საკომუნიკაციო ტექნოლოგიის (ICT) გამოყენებით;
- გამოთვალოს ფიგურათა მოცულობა, ფართობი და გამოიყენოს მონაცემთა გამოსახვის სტატისტიკური მეთოდები;
- წაიკითხოს და დახაზოს საინჟინრო ნახაზები სხვადასხვა ტექნიკის, მათ შორისკომპიუტერზე დაფუძნებული ხაზვის სისტემის (CAD) გამოყენებით;
- შექმნას და წარადგინოს პროექტი.

განხორციელების ადგილი:
პროფესიული განათლების ზუგდიდის ცენტრი
პროფესიული განათლების სენაკის ცენტრი

მეფუტკრეობა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ ენაზე:
საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მეფუტკრეობაში

დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება

ხანგრძლივობა:
- ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 15,5 თვე
- არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის- 18,5 თვე

მიზანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სოფლის მეურნეობის სფეროსთვის (მეფუტკრეობა) შესაბამისი კომპეტენციის მქონე კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდა

შედეგი

- სეზონურად მოუაროს და შეინახოს ფუტკარი;
- მართოს ფუტკრის მავნებელი დაავადებები;
- დაამზადოს ფუტკრის სკა;
- მიიღოს ფუტკრის პროდუქტები - დინდგელი, ცვილი, ყვავილის მტვერი, რძე, შხამი;
- უზრუნველყოს ფუტკრის პროდუქტების მიღება- რეალიზაცია.

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შედეგად კურსდამთავრებულის დასაქმების პოზიციაა: მეფუტკრე. კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს სოფლის მეურნეობის სფეროში არსებულ ორგანიზაციებში, აგრეთვე შესაძლებელია იყოს თვითდასაქმებული და მართავდეს საკუთარ მეურნეობას.

განხორციელების ადგილი:
პროფესიული განათლების სენაკის ცენტრი

მებოსტნეობა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ ენაზე:
საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მებოსტნეობაში

დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება

ხანგრძლივობა:
- ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 11 თვე
- არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 14 თვე

მიზანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სოფლის მეურნეობის სფეროსთვის შესაბამისი კომპეტენციის მქონე კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდა.

შედეგი

- შეარჩიოს ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების სახეობა, ჯიში/ჰიბრიდი;
- დაამუშავოს ნიადაგი;
- გამოკვებოს ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურები;
- მოამზადოს სუბსტრატი და აწარმოოს ბოსტნეული, ბაღჩეული კულტურების ჩითილი;
- მოახდინოს ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების მყნობა;
- ჩაატაროს ფენოლოგიური დაკვირვება და მოახდინოს მცენარის ფორმირება;
- უზრუნველყოს ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების მოსავლის აღება-შენახვა-რეალიზება.

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შედეგად კურსდამთავრებულის დასაქმების პოზიციაა: მებოსტნე. კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს სოფლის მეურნეობის სფეროში არსებულ ორგანიზაციებში, აგრეთვე შესაძლებელია იყოს თვითდასაქმებული და მართავდეს საკუთარ მეურნეობას.

განხორციელების ადგილი:
პროფესიული განათლების სენაკის ცენტრი

ბიბლიოთეკარი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ ენაზე:
საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საბიბლიოთეკო საქმეში

დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება

ხანგრძლივობა:
- ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის- 15.5 სასწავლო თვე;

მიზანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია შესაძლებლობა მისცეს კურსდამთავრებულს მიიღოს ფართო განათლება და ძირითადი ცოდნა საბიბლიოთეკო სფეროში; აგრეთვე, განუვითაროს ის აუცილებელი უნარები და კომპეტენციები, რომლებიც საჭიროა როგორც შრომის ბაზარზე გასასვლელად, ასევე სწავლის გასაგრძელებლად, როგორც ფორმალურ, ისე, არაფორმალურ საგანმანათლებლო სისტემებში.

შედეგი

- ბიბლიოთეკის სივრცის ორგანიზება;
- ფონდის დაკომპლექტება;
- ფონდის მართვა;
- ფონდის დაცვა;
- საცნობარო-საინფორმაციო მუშაობა;
- საბიბლიოთეკო მომსახურება;
- კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარება.

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

ბიბლიოთეკარიS საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის ბიბლიოთეკებში,ქალაქის, სოფლის, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციების ბიბლიოთეკაში.

განხორციელების ადგილი:
პროფესიული განათლების ზუგდიდის ცენტრი
პროფესიული განათლების სენაკის ცენტრი

კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ ენაზე:
უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირებაში

დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება

ხანგრძლივობა:
- ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 21 სასწავლო თვე

მიზანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების კვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადება, რომელსაც ექნება პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი თეორიული ცოდნა; შეეძლება ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, მოსალოდნელი რისკების და პრობლემების წინასწარ განსაზღვრა და მათი თავიდან აცილება, პრობლემების წარმოშობის შემთხვევაში სწრაფი ანალიზის გაკეთება და ოპერატიული რეაგირება.

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორის საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს საჯარო ან კერძო სტრუქტურაში ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში, ქსელური ინფრასტრუქტურის ადმინისტრირების განხრით. აგრეთვე შეუძლია იმუშაოს ხელმძღვანელ თანამდებობაზე ან იყოს პროფესიული მასწავლებელი.

შედეგი

- კომპიუტერული ქსელის ფიზიკური და ლოგიკური ტოპოლოგიის გამართვა;
- EIGRP და OSPF მარშრუტიზაციის პროტოკოლების კონფიგურაცია;
- გლობალური ქსელის ტექნოლოგიების განსაზღვრა;
- გამოყოფილი არხების გამართვა;
- დაშორებულ ოფისებთან წვდომის ორგანიზება;
- ქსელში შეცდომების იდენტიფიცირება/აღმოფხვრა;
- SNMP და NETFLOW პროტოკოლების კონფიგურირება;
- წვდომის სიების (ACL) აგება და მართვა;
- ვირტუალური კერძო ქსელის აგება;
- ქსელის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულითანამედროვე საფრთხეების გარჩევა;
- ქსელური მოწყობილობების უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- ACL(ACCESS CONTROL LISTS)-ების გაფართოებული კონფიგურირება;
- ქსელური შეტევებისგან თავდაცვისთვის საჭირო თანამედროვე მეთოდების გარჩევა;
- ლოკალური ქსელური უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- ბრენდმაუერის კონფიგურირება.

განხორციელების ადგილი:
პროფესიული განათლების ზუგდიდის ცენტრი

ZUGDIDI STATE UNIVERSITY